

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი

ISSN 1512-3537 (print)

ISSN 3038-4047 (online)

DOI: <https://doi.org/10.36073/1512-3537>

ESJI Eurasian
Scientific
Journal
Index
www.ESJIndex.org

<https://esjindex.org/search.php?id=7926>

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა

№2 (63) 2025

სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი
ჟურნალი

ჟურნალი რეგისტრირებულია Google Scholar-ში
ჟურნალი რეფერირდება ქრე-ში „ქართული რეფერატული ჟურნალი“



გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“
თბილისი
2025

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა
TRANSPORT AND MACHINEBUILDING
ТРАНСПОРТ И МАШИНОСТРОЕНИЕ

სარედაქციო კოლეგია

ასოც. პროფ. ბორის გიტოლენდია (მთავარი რედაქტორი); პროფ. ლავრენტი გუდავაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე); პროფ. თეა ბარამაშვილი (ტექნიკური რედაქტორი); პროფ. გიორგი აბრამიშვილი; პროფ. თამაზ ნატრიაშვილი; პროფ. თამაზ მორჩაძე; პროფ. გიზო ფარცხალაძე; პროფ. ალექსანდერ სლადკოვსკი (პოლონეთი); პროფ. გეორგი ტოხტარი (უკრაინა); პროფ. მიხაილ ბენ ხაიმ (ისრაელი); პროფ. კოლინ რიგბი (დიდი ბრიტანეთი); პროფ. მიროსლავ ბონეკი (პოლონეთი); პროფ. ასენ ასენოვი (ბულგარეთი); პროფ. ნია ნატბილაძე; პროფ. გივი გოლეთიანი; პროფ. რაულ თურმანიძე; პროფ. ნანა ნოზაძე; პროფ. ზაურ ჩიტაძე; პროფ. გოდერძი ტკეშელაშვილი; პროფ. ჯუმბერ იოსებიძე; პროფ. ავთანდილ შარვაშიძე; ასოც. პროფ. ხათუნი ამკოლაძე; პროფ. მანანა თალაკვაძე; პროფ. ნათია ბუთხუზი; პროფ. ნუგზარ რურუა; პროფ. ზურაბ ბოგველიშვილი; პროფ. დავით მოწინიძე; პროფ. თამარ კილაძე; ასოც. პროფ. ვალერი ჯაჯანიძე; ასოც. პროფ. რამაზი ტყემალაძე.

EDITORIAL BOARD

Assoc. Prof. **Boris Gitolendia** (editor-in-chief); Prof. **Lavrenti Gudavadze** (deputy editor-in-chief); Prof. **Tea Baramashvili** (Technical Editor); Prof. **Giorgi Abramishvili**; Prof. **Tamaz Natriashvili**; Prof. **Tamaz Morchadze**; Prof. **Gizo Fartskhaladze**; Prof. **Aleksander Sladkovski** (Poland); Prof. **George Tokhtar** (Ukraine); Prof. **Michail Ben Chaim** (Israel); Prof. **Kolin Rigbi** (Great Britain); Prof. **Miroslav Boneki** (Poland); Prof. **Asen Asenovi** (Bulgaria); Prof. **Nia Natbiladze**; Prof. **Givi Goletiani**; Prof. **Raul Turmanidze**; Prof. **Nana Nozadze**; Prof. **Zaur Chitidze**; Prof. **Goderdzi Tkeshelashvili**; Prof. **Jumber Iosebidge**; Prof. **Avtandil Sharvashidze**; Assoc. Prof. **Khatuni Amkoladze**; Prof. **Manana Talakvadze**; Prof. **Natia Butkhuzi**; Prof. **Nugzar Rurua**; Prof. **Zurab Bogvelishvili**; Prof. **David Dzotsenidze**; Prof. **Tamar Kiladze**; Assoc. Prof. **Valeri Jajaniidze**; Assoc. Prof. **Ramazi Tkemaladze**.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Асоц. Проф. **Борис Гитолендия** (главный редактор); Проф. **Лавренти Гудавадзе** (зам. главного редактора); Проф. **Теа Барамашвили** (Технический редактор); Проф. **Гиорги Абрамишвили**; Проф. **Тамаз Натриашвили**; Проф. **Тамаз Морчадзе**; Проф. **Гизо Фарцхаладзе**; Проф. **Александр Сладковски** (Польша); Проф. **Георг Тохтар** (Украина); Проф. **Михаил Бен-Хаим** (Израиль); Проф. **Коллин Ригби** (Великобритания); Проф. **Мирослав Бонеки** (Польша); Проф. **Асен Асенови** (Булгария); Проф. **Ниа Натбиладзе**; Проф. **Гиви Голетиани**; Проф. **Раул Турманидзе**; Проф. **Нана Нозадзе**; Проф. **Заур Читидзе**; Проф. **Годердзи Ткешелашвили**; Проф. **Джумбер Иосебидзе**; Проф. **Автандил Шарвашидзе**; Асоц. Проф. **Хатуни Амколodge**; Проф. **Манана Талакवादзе**; Проф. **Натиа Бутхузи**; Проф. **Нугзар Руруа**; Проф. **Зураб Богвелишвили**; Проф. **Давид Дзотсенидзе**; Проф. **Тамар Киладзе**; Асоц. Проф. **Валери Джаджанидзе**; Асоц. Проф. **Рамаз Ткемаладзе**.

ტექნიკური რედაქტორი: პროფ. თეა ბარამაშვილი

Technical editor: Prof. Tea Baramashvili

Технический редактор: Проф. Теа Барамашвили

რედაქციის მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №71, I კორპუსი, ოთახი №710

Address of the editorial office: Tbilisi, M. Kostava Str. №71, I corpus, room №710

Адрес редакции: Тбилиси, М. Костава ул. №71, I корпус, комната №710; Tel: +995 551 611 611

ჟურნალი განთავსებულია ინტერნეტში შემდეგ მისამართებზე:

- ჟურნალის ვებ გვერდი
<https://journaltm.gtu.ge/ka/>
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ცენტრალური ბიბლიოთეკა
https://gtu.ge/Library/transp_jur/
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი
<https://gtu.ge/stmm/research/journals.php>
- ციფრული ბიბლიოთეკა "ივერიელი" (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>
- ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრე)
<https://techinformi.ge/ge/?page=footer/qjr>

შინაარსი

I. ტრანსპორტი/Transport/Транспорт

1. Оптимальное регулирование скорости в тяговом электроприводе систем постоянного и переменного тока с асинхронными тяговыми двигателями
Серго Кариპидис, Автандил Шарვაшидзе, Мириан Цოцхალაშვილი, Юза Схиртладзе, Гиორგი Цхомელიдзе 5
2. ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის მუშაობის ოპტიმიზაცია
გამოყოფილი ზოლების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის საფუძველზე
ვალერი ჯაჯანიძე, დავით ფრიდონაშვილი, გოდერძი ტაბატაძე,
ომარი მამალაშვილი 11
3. სატრანსპორტო ნაკადის სიმჭიდროვის შემცირება საქალაქო ავტობუსების
ეფექტიანობის გაზრდით
ომარი მამალაშვილი 16

II. მექანიკის ინჟინერია/Mechanical Engineering/Механическая инженерия

4. Кинематика и динамика лестничного транспортера
Зураб Мchedlishvili 21
5. Kinematics of the articulated pentagon with two degrees of freedom
Zurab Mchedlishvili 27
6. Исследование динамики гипоциклического механизма при наличии в шарнире зубчатого колеса трения скольжения
Мchedlishvili Зураб, Тедиаშვილი Лия, Элердашвили Ирма 35

III. სამრეწველო ინჟინერია/Industrial Engineering/ Промышленная инженерия

7. კომპლექსური შენადნობების მიღება დაბალთიხამიწის შემცველი მანგანუმის
ნარჩენიდან და მაღალნაცრიანი ნახშირიდან
თამაზ ბუჩუკური, თამარ ცერცვაძე, თამარ წილოსანი, ნინო კენჭიაშვილი 41
8. Revit Architecture: ორსართულიანი შენობის მოდელირება - სართულისა და კიბის
დიზაინი
ნათელა ჯავახიშვილი, თეა ბარამაშვილი 47
9. არასრულად დატვირთული მორსატრევი თვითმტვირთავი აგრეგატის განივი
დინამიკური მდგრადობის გამოკვლევა
რამაზი ტყემალაძე, თინათინ გოგიშვილი, ირაკლი გრძელიშვილი 54

IV. ტრანსპორტის და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი/ Transport and Mechanical Engineering Management/Транспорт и машиностроение равление

10. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლების
მიმართულებები
გოდერძი ტყემალაშვილი, გიორგი მელქაძე, თამარ კილაძე 64

11. საქართველოს საზღვაო პორტების შესაძლებლობათა ამაღლების მიმართულებები გოდერძი ტყეშელაშვილი, გიორგი მელქაძე, მანანა ლალიაშვილი, ეკა გაზაშვილი	70
12. მსოფლიო სატრანსპორტო მომსახურების განვითარების ტენდენციები ვაჟა ზეიკიძე, გიორგი მაისურაძე, თამარ რუხაძე, თამარ ქამხაძე, გიორგი ხვედელიძე	76
13. დასაქმებულთა ფსიქოსოციოლოგიური რისკები და მათი შეფასება ნანა კიკნაძე, ნატო კიკნაძე	84
14. რისკების მართვა მეტალურგიულ საწარმოებში ნატო კიკნაძე, ნანა კიკნაძე	91
15. პერსონალის მართვის სპეციფიკა ქეთევან კიწმარიშვილი, ელენე კიწმარიშვილი	96
16. ავტორთა საყურადღებოდ	101

Оптимальное регулирование скорости в тяговом электроприводе систем постоянного и переменного тока с асинхронными тяговыми двигателями

Серго Карипидис*, Автандил Шарвашидзе**,
Мириан Цоцхалашвили***, Юза Схиртладзе****,
გიორგი Цхомელიдзе*****

**профессор, ГТУ, эл. почта: s.karipidisi-karibovi@gtu.ge;*

***профессор, ГТУ, эл. почта: a.sharvashidze@gtu.ge;*

****доктор инженерных наук, ГТУ, эл. почта: miriantsotskhalashvili05@gtu.ge;*

*****ассоциированный профессор, ГТУ, эл. почта: iuza.skhirtladze@mail.ru;*

******студент докторантуры, ГТУ, эл. почта: tskhomelidze.giorgi22@gtu.ge*

(Грузинский технический университет, ул. М. Костава №71,
0175, Тбилиси, Грузия)

Резюме:

В работе произведен полный анализ работы коллекторных тяговых двигателей постоянного и пульсирующего тока с последовательным возбуждением на ЭПС (электроподвижной состав) постоянного и переменного тока. Указаны их основные недостатки: частых коротких замыканий при перегрузках, разносных боксовании при боксованиях, и т. д. Предложен вариант тягового электропривода с асинхронным двигателем, который по весу и габаритами (2-3) раза меньше, по надежности на порядок больше, лишенный указанных недостатков, которые присущи двигателям постоянного тока последовательного возбуждению. Предложена оптимальная форма переменного напряжения инвертора, обеспечивающая максимальное значение амплитуды первой гармоники.

Ключевые слова:

ток, напряжение, фаза, мощность, габариты, вес и т. д.

Введение

Следует отметить, что в тяговом электроприводе постоянного и переменного тока, до настоящего времени, применяются коллекторные двигатели постоянного и пульсирующего тока с последовательным возбуждением. Это было продиктовано их замечательным свойствам в любом количестве работать последовательно и параллельно, чего нельзя говорить о двигателе независимого возбуждения, с хорошими противобоксованными свойствами. Для их параллельной работы необходимо специальное выравнивающее устройство якорных токов параллельных ветвей. Примером является электровоз ВЛ12, в разработке которого активные участие принимал один из авторов этой статьи.

В начале электрической тяги о таком устройстве и речи не могло быть. В то время кроме реле, контакторов и сопротивления ничего не было. До появления полупроводниковых приборов таких как: диоды, тиристоры, транзисторы и т. п., на ЭПС постоянного тока 3000 В скорость регулировалась с помощью реле, контакторов и сопротивления, на электровозах переменного тока – с помощью игнитронов, и ртутных выпрямителей, эксплуатация которых показала их низкую надежность.

С появлением общеизвестных полупроводниковых приборов, таких как: транзисторы, диоды и обычные тиристоры, на постоянном токе появились ЭПС с импульсным регулированием скорости с использованием схем искусственной коммутации (электровозы не так много) электропоезда. Подобной системой регулирования скорости с 2000 г. по настоящее время работают электропоезда типа „ეს“ («ЭС» электропоезд Сакартвело), разработанный одним из авторов данной статьи. На электровозах переменного тока ВЛ60, ВЛ80^Т, ВЛ80^Р регулирование скорости осуществлялось с помощью обыкновенных диодов и тиристоров.

Основная часть

Длительный опыт эксплуатации упомянутых двигателей показал их невысокую надежность: большие эксплуатационные расходы (проточка коллектора, его чистка и т. п.), частые короткие замыкания на якоре при перегрузках, плохие противобоксовочные свойства (разносное боксование). От всего этого можно было бы избавиться, если вместе них применить асинхронный тяговый двигатель. Его надежность на порядок выше, (2-3) раза меньше вес и габариты. Из-за жестких характеристик, таких как у двигателя постоянного тока с независимым возбуждением, хорошие противобоксовочные свойство (в этом случае не могут быть разносные боксования). При том же нажатии колесной пары на рельс, в случае асинхронной тяговой машины, на ось реализуется 1500 кВт против 900 кВт для коллекторных с последовательным возбуждением двигателей. Мечтой многих специалистов было это сделать. Этого не позволял уровень полупроводниковой техники. Вместе с тем, многие специалисты используя обыкновенные тиристоры с малыми временами выключения (около 100 мкс) используя схемы искусственной коммутации создавали опытные электровозы и электропоезда с асинхронными двигателями. Далее опытных образцов это дело не продвигалось, пока не создались принципиально новые мощные полевые транзисторы типа IGBT на 6500 В 600 А, 3300 В 1200 А, управляемые тиристоры GTO, IGCT на 6000 В, 5000 А и т. д. В настоящее время во многих передовых странах: Германия, Франция, Япония, Швейцария, Чехия успешно эксплуатируются электровозы и электропоезда с асинхронными тяговыми двигателями. Для нормальной работы асинхронного двигателя необходимо стабильное трехфазное напряжение синусоидальной формы. Регулирование скорости с асинхронными тяговыми двигателями происходит одновременным изменением напряжения и частоты.




Рис. 1. Диаграммы напряжений одной фазы инвертора в течении половины периода при различных способах его формирования

К сожалению, напряжение инверторов от которых питаются асинхронные двигатели далеко несинусоидально. В настоящее время регулирование величины напряжению происходит

сложным путем – широтно-импульсной модуляции (ШИМ). На рис. 1,а показана эта диаграмма, состоящая из пакета импульсов разной ширины. В этом режиме в течении полупериода, транзисторы инвертора многократно включаются и выключаются. Принимая во внимание, что падение напряжения на транзисторах типа IGBT порядка (4-6) Вольт, КПД такого инвертора будет низким кроме того, система управления транзисторами будет сложнее. Наиболее распространенной формой напряжения для одной фазы где исключаются третья гармоника и её кратные приведена на рис. 1,б. Как видно из рисунка полупериод состоит из трех участков с длительностью 60° . Известны также другие формы 120° и 150° . В этом случае система управления будет простейшей, КПД инвертора будет высоким. Оптимальная форма показана на рис. 1, в.

Амплитуду первой гармоники такой формы напряжения можно значительно повысить, если эту кусочно-линейную форму оптимизировать (рис. 1, в). Оптимизация осуществляется по общеизвестному выражению [1]:

$$\int_0^n [U_m \sin \theta - U(\theta)]^2 \leq \varepsilon(U(\theta)). \quad (1)$$

где $U(\theta)$ – кривая, которую необходимо оптимизировать с синусоидой; $\varepsilon(U(\theta))$ - невязка. Более подробное выражение (1) можно написать следующим образом:

$$\varepsilon(U(\theta)) = U_m^2 \int_0^\pi \sin^2 \theta d\theta - 2U_m \int_0^\pi \sin \theta \cdot U(\theta) \cdot d\theta + \int_0^\pi U^2(\theta) \cdot d\theta \dots \quad (2)$$

Учитывая, что на интервалах:

$$0 < \theta < \frac{\pi - \alpha}{2}, \quad U(\theta) = \frac{U_1}{2}; \quad \frac{\pi - \alpha}{2} < \theta < \frac{\pi + \alpha}{2}, \quad U(\theta) = U_1; \\ \frac{\pi + \alpha}{2} < \theta < \pi, \quad U(\theta) = \frac{U_1}{2},$$

с учетом этих граничных условия, после интегрирования можно написать:

$$\varepsilon(U(\theta)) = \frac{U_m^2}{2} \pi - 2U_m U_1 \left(1 + \sin \frac{\alpha}{2}\right) + \frac{\pi}{4} U_1^2 + \frac{3}{4} \alpha U_1^2 \quad (3)$$

Для оптимизации необходимо взять производные от (3) и их приравнять к нулю, т. е:

$$\left. \begin{aligned} \frac{\partial \varepsilon}{\partial \alpha} &= -U_m U_1 \cos \frac{\alpha}{2} + \frac{3}{4} U_1^2 = 0 \\ \frac{\partial \varepsilon}{\partial U_1} &= -2U_m \left(1 + \sin \frac{\alpha}{2}\right) + \frac{\pi}{2} U_1 + \frac{3}{2} \alpha U_1 = 0 \end{aligned} \right\} \quad (4)$$

Решая выражения (4) совместно для α найдем уравнение:

$$\left(\frac{\pi}{2} + \frac{3}{2} \alpha\right) \cos \frac{\alpha}{2} - 1,5 \left(1 + \sin \frac{\alpha}{2}\right) = 0 \quad (5)$$

Решая уравнение (5) одним из известных приближенных методов найдем: $\alpha = 1,85$.

Оптимизированная двухступенчатая «кривая» одной фазы показана на рис. 1, в. Как это видно из рисунка, угол $\alpha = 106^\circ$ (1,85) вместо 60° .

Ниже для всех «кривых», приведенных на рис. 1, а, б и в определим гармонический состав.

Для амплитуды гармоник ШИМ-а можно написать:

$$b_{mk} = \frac{2}{\pi} \int_0^\pi f(\theta) \cdot \sin k\theta d\theta = \frac{4}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} f(\theta) \cdot \sin k\theta d\theta, \quad (6)$$

где, $f(\theta)$ функция ШИМ-а;

k - порядок гармоник. 1, 3, 5, 7 ...

Выполнив в (6) интегрирование с учетом граничных условий можно написать:

$$b_{mk} = \frac{8U_1}{\pi k} \left[\sin k \frac{a_1 + b_1}{2} \cdot \sin k \frac{b_1 - a_1}{2} + \sin k \frac{a_2 + b_2}{2} \cdot \sin k \frac{b_2 - a_2}{2} + \right. \\ \left. + \sin k \frac{a_3 + b_3}{2} \cdot \sin k \frac{b_3 - a_3}{2} \right], \quad (7)$$

Подставляя численные значения $a_1, b_1, a_2, b_2, \dots$, в (7), приведенные на рис. 1, а, в общем случае можно получить расчетную формулу для определения амплитуд любых гармоник ШИМ-а:

$$b_{mk} = \frac{8U_1}{\pi k} [\sin k \cdot 0,2747 \cdot \sin k \cdot 0,0567 + \sin k \cdot 0,0867 \cdot \sin k \cdot 0,152 + \\ + \sin k \cdot 1,3 \cdot \sin k \cdot 0,2]. \quad (8)$$

На основании (8) разложение ШИМ-а на гармоники будет:

$$f(\theta) = 0,8089U_1 \left[\sin \theta + \frac{0,087}{3} \sin 3\theta + \frac{3,09}{5} \sin 5\theta + \frac{0,494}{7} \sin 7\theta + \right. \\ \left. + \frac{1,178}{9} \sin 9\theta + \frac{4,647}{11} \sin 11\theta + \dots \right]. \quad (9)$$




Рис. 2. Различные варианты схем питания асинхронного тягового двигателя через инвертор для систем постоянного 3000 В (а и б), и переменного 25000 В (в и г) токов

Из (9) видно, что амплитуда первой гармоники ШИМ-а равна $0,8089U_1$.

Для кривых рис. 1, б и в, в общем случае, амплитуды любых гармоник можно определить из:

$$b_{mk} = \frac{2}{\pi} \int_0^{\pi} U(\theta) \cdot \sin k\theta d\theta = \frac{2}{\pi} \left[\int_0^{\frac{\pi-\alpha}{2}} \frac{U_1}{2} \sin k\theta d\theta + \int_{\frac{\pi-\alpha}{2}}^{\frac{\pi+\alpha}{2}} U_1 \sin k\theta d\theta + \right. \\ \left. + \int_{\frac{\pi+\alpha}{2}}^{\pi} \frac{U_1}{2} \sin k\theta d\theta \right]$$

$$+ \int_{\frac{\pi+\alpha}{2}}^{\pi} \frac{U_1}{2} \sin k\theta d\theta \left] = \frac{2U_1}{k\pi} \left[1 + \sin k \frac{\pi}{2} \cdot \sin k \frac{\alpha}{2} \right]. \quad (10)$$

На основании выражения (10) могут быть определены амплитуды гармоник кривых рис. 1, б, в. Для кривой рис. 1, б, где $\alpha = 60^\circ (\pi/3)$ разложение на гармоники будет:

$$f(\theta) = 0,955U_1 \left[\sin \theta + \frac{1}{5} \sin 5\theta + \frac{1}{7} \sin 7\theta + \frac{1}{11} \sin 11\theta + \dots \right]. \quad (11)$$

На оснований того же выражения (10) разложение на гармоники оптимальной кривой (рис. 1, в) будет:

$$f(\theta) = 1,145U_1 \left[\sin \theta + \frac{0,35}{3} \sin 3\theta + \frac{1,11}{5} \sin 5\theta + \frac{0,47}{7} \sin 7\theta + \frac{1,05}{9} \sin 9\theta + \frac{0,93}{11} \sin 11\theta + \dots \right]. \quad (12)$$

Сравнивая между собой полученные расчетные выражения (10), (11) и (12), убеждаемся в том, что амплитуда первой гармоники оптимальной кривой в 1,2 раза больше амплитуды $\alpha = 60^\circ$ и 1,396 раза больше амплитуды ШИМ-а.

На рис. 2 приведены соответствующие схемы питания асинхронного тягового двигателя от инвертора в системах постоянного 3000 В и переменного 25000 В токов. На рис. 2, а напряжение асинхронного тягового двигателя регулируется с помощью ШИМ-а со сложной системой управления. На рис. 2, б приводится схема инвертора, где форма фазового напряжения оптимальная, величина напряжения двигателя регулируется одним транзистором V. На рис. 2 в и г приводятся схемы питания асинхронного двигателя через инвертор для системы переменного тока 25000 В посредством управляемого выпрямителя B1 и неуправляемого выпрямителя B2 через транзистора V.

Выводы:

1. Произведен полный анализ длительной работы коллекторных тяговых двигателей последовательного возбуждения на ЭПС постоянного и переменного тока, в результате анализа предложен тяговый электропривод с асинхронным двигателем, надежность которого на порядок больше, вес и габариты (2-3) раза меньше;
2. Предложена оптимальная форма переменного напряжения инвертора, обеспечивающая на 40% больше амплитуды первой гармоники несинусоидального напряжения по сравнению с «ШИМ»;
3. Предложены соответствующие аналитические выражения разложения на гармоники несинусоидальных разной формы напряжений инвертора.

Литература:

1. Карипидис С. И., «Статические преобразователи электроподвижного состава», Тбилиси 2015, Технический Университет, стр. 214;
2. Карипидис С. И., «Динамика нелинейных систем тягового электропривода постоянного тока», Тбилиси 2012, Технический Университет, стр. 314;

3. ს. კარიპიდისი, ჯ. სანიკიძე. ელექტრული წევის საფუძვლები, თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2014, 399 გვ;

**ასინქრონულძრავიანი წევის ელექტროამძრავის სიჩქარის ოპტიმალური
რეგულირება მუდმივი და ცვლადი დენის სისტემებში
სერგო კარიპიდისი, ავთანდილ შარვაშიძე, მირიან ცოცხალაშვილი,
იუზა სხირტლაძე, გიორგი ცხომელიძე
რეზიუმე**

ნაშრომში წარმოდგენილია მუდმივი და ცვლადი დენის ემშ-ზე (ელექტრომძრავ შემადგენლობაზე) მუდმივი და პულსირებული დენის მიმდევრობითი აგზნების კოლექტორიანი წევის ძრავების მუშაობის სრული ანალიზი. ნაჩვენებია მათი ძირითადი ნაკლოვანებები: ხშირი მოკლე შერთვა გადატვირთვის დროს, ასრიალების სიჩქარის ზრდა ბუქსაობისას და ა. შ. შემოთავაზებულია ამძრავის ვარიანტი ასინქრონული წევის ძრავას გამოყენებით, რომელიც მასა-გაბარიტებით 2-3 ჯერ ნაკლებია, საიმედოობით კი - მთელი რიგით მეტი. ამით მოხსნილია ის ნაკლოვანებები, რაც ახასიათებს მიმდევრობითი აგზნების მუდმივი დენის ძრავას. შემოთავაზებულია ინვერტორის ცვლადი ძაბვის ოპტიმალური ფორმა, რაც უზრუნველყოფს პირველი ჰარმონიკის ამპლიტუდის მაქსიმალურ მნიშვნელობას.

**Optimal speed control in traction electric drive of DC and AC systems with
asynchronous traction motors**

**Karipidis Sergo, Sharvashidze Avtandil, Tsotskhalashvili Mirian,
Skhirtladze Yuza, Tskhomelidze Giorgi**

Abstract

The work presents a comprehensive analysis of the performance of commutator traction motors operating on direct and pulsating current with series excitation, used in electric rolling stock (ERS) powered by both DC and AC. The main drawbacks of such motors are identified: frequent short circuits under overload conditions and differential slipping during wheel slip events, etc. The proposed version of traction electric drive with an asynchronous motor, which is 2-3 times smaller in weight and dimensions and an order of magnitude more reliable. It is free from the technical shortcomings inherent to DC motors with series excitation. An optimal inverter AC voltage waveform is also proposed, which ensures the maximum amplitude of the first harmonic.

**ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი
ავტოტრანსპორტის მუშაობის ოპტიმიზაცია
გამოყოფილი ზოლების გამოყენების ეფექტიანობის
გაზრდის საფუძველზე
ვალერი ჯაჯანიძე*, დავით ფრიდონაშვილი**, გოდერძი ტაბატაძე***,
ომარი მამალაშვილი******

** ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ელ. ფოსტა: vl.jajanidze@gtu.ge;*

*** ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ელ. ფოსტა: d.fridonashvili@gtu.ge;*

**** აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ელ. ფოსტა: g.tabatadze@gmail.com;*

***** დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ელ. ფოსტა: mamalashviliomari@gmail.com*

**(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №71, 0175,
თბილისი, საქართველო)**

რეზიუმე:

თანამედროვე ქალაქების მათ შორის თბილისის საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობა უშუალოდ დაკავშირებულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებასთან. ქალაქის საავტომობილო გზებზე არსებული გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადების გამო დღე-ღამის უმეტეს პერიოდში ძირითად კვანძებსა და მაგისტრალებზე მუდმივად ფიქსირდება შემჭიდროვებული მოძრაობა, რაც თავის მხრივ სატრანსპორტო პროცესების შესრულების დროითი დანახარჯებით, გაზრდილი საწვავის მოხმარებით და შესაბამისი გამონახოლქვის შედეგად გაუარესებული ეკოლოგიური მდგომარეობით ხასიათდება. პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი მეთოდია სამარშრუტო ტრანსპორტისთვის სპეციალური ზოლის გამოყოფა, რაც შესაძლებელს გახდის თავიდან იქნას არიდებული შეფერხებები საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის გადაადგილებაში, ხოლო თბილისის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის თავისებურებებიდან გამომდინარე გამოყოფილი ზოლის ეფექტურად გამოყენება კიდევ უფრო ოპტიმალურს გახდის სისტემის ფუნქციონირებას.

საკვანძო სიტყვები:

საქალაქო ავტობუსი, სპეციალური ზოლი, ტრანსპორტირების დრო, მიკროავტობუსი.

შესავალი

ქალაქ თბილისის სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირების პარამეტრები უშუალოდ დაკავშირებულია დღე-ღამის განმავლობაში ქალაქის მასშტაბით დაფიქსირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობასთან, რაც დაახლოებით ნახევარ მილიონს უტოლდება. შედეგად ქალაქის სატრანსპორტო მაგისტრალებზე მუდმივად ფიქსირდება

მოდრაობის შეფერხება, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება მაცხოვრებელთა სოციო-ეკოლოგიურ გარემოზე, აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის ფუნქციონირებაზე, რაც მარშრუტზე მოლოდინის დროის გაზრდილი სიდიდით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შეუსრულებელი ბრუნით გამოვლინდება. ასეთ პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის მოძრაობისთვის სპეციალურად გამოყოფილი სამარშრუტო ზოლის არსებობა. ქალაქ თბილისის მასშტაბით ასეთი ზოლები უკვე მრავლადაა, მაგრამ ამავდროულად კვლავ რჩება კონკრეტული მონაკვეთები, რომლებიც საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტისთვის გამოყოფილი სპეციალური ზოლის გარკვეულ წყვეტას წარმოადგენენ, რაც საბოლოოდ აღნიშნული ზოლის გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებლებს აუარესებს, მაგრამ საბოლოო ჯამში შედეგი პოზიტიურია.

ძირითადი ნაწილი

სატრანსპორტო მოძილობის თვალსაზრისით თანამედროვე ქალაქების, მათ შორის თბილისის მთავარი პრობლემაა საავტომობილო სატრანსპორტო ნაკადების გადაადგილების გაძნელება, ან შემჭიდროვებული სატრანსპორტო ნაკადი, რაც თავის მხრივ განაპირობებს ადამიანისა თუ ტვირთის გადაადგილების შეფერხებას, რასაც თან სდევს ეკონომიკური ზარალი. შემჭიდროვებული საგზაო მოძრაობის დროს, რამდენადაც გახშირებულია დაძვრა-გაჩერების პროცესი, ადგილი აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ მოხმარებული საწვავის ხარჯის სიდიდის მატებას, ავტომობილის სამუხრუჭო ხუნდებისა და დისკოს ცვეთის ინტენსივობის მაჩვენებლის გაზრდას და ქალაქის ეკო სისტემის სხვადასხვა მომწამვლელი ნივთიერებით დაბინძურების მაჩვენებლების გაუარესებას. სატრანსპორტო ნაკადების გადაადგილების გაძნელება, უარყოფითად მოქმედებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების საექსპლუატაციო რესურსის სიდიდეზე, რამდენადაც გახშირებული დაძვრა-გაჩერების პროცესის შედეგად იზრდება ავტომობილის აგრეგატებისა და კვანძების ცვეთის ინტენსივობა.

საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და მართვის კონტექსტში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ავტომობილის გადაადგილებისათვის საჭირო გზა, მისი სავალი ნაწილი, რომელიც ხასიათდება გამტარუნარიანობის მაჩვენებლით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გზის სავალი ნაწილის გამტარუნარიანობის მაჩვენებელი სტატიკური სიდიდეა, რომლის ცვლილება მხოლოდ არსებული გზის რეკონსტრუქციით ან ახალი გზის მშენებლობით მიიღწევა. აღნიშნული მაჩვენებელი დიდწილად განსაზღვრავს სატრანსპორტო ნაკადების გადაადგილების დინამიკურ და დროით მაჩვენებლებს.

ქალაქის საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის განვითარების მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ზედამხედველი ორგანოების მხრიდან (ქ. თბილისში - მერია) შემზღუდავი და წამახალისებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რაც თავის მხრივ გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო ზედამხედველი ორგანოს მიერ უნდა იქნას ჩამოყალიბებული ხედვა ინდივიდუალურ სარგებლობაში მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთათვის მათი ავტომობილის გამოყენების მიმზიდველობის გაუარესებაზე, რაც გამოიხატება ავტოსადგომების რიცხოვნობის შემცირებით, ავტოსადგომზე დგომის გაზრდილი ღირებულებით, სავალ ნაწილზე არსებული მოძრაობის ზოლების რაოდენობის შემცირებით და ბოლოს ავტომობილის ყოველდღიური გამოყენების შეზღუდვით. შემზღუდავ ღონისძიებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა

ენიჭება ისეთი წამახალისებელი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა, შეღავათიანი სატარიფო პოლიტიკა, განახლებული ინფრასტრუქტურა და მოძრავი შემადგენლობა, სადღესასწაულო დღეებში ქალაქის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისთვის უფასო საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის შეთავაზება, ინტეგრირებული გადახდის სისტემის დამუშავება და სხვა.

ქალაქის მასშტაბით გამოყოფილი სამარშრუტო ტრანსპორტის სპეციალური ზოლების გამოყენების ეფექტიანობის შეფასების კუთხით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პარამეტრია საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის ერთგვაროვნების მაჩვენებელი, რაც თავის მხრივ საერთო სარგებლობის ტრანსპორტის შემადგენლობასა და მუშაობის თავისებურებებს უსვამს ხაზს. ქალაქ თბილისის მასშტაბით მომუშავე საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტი წარმოდგენილია მუნიციპალური ავტოპარკის სახით, რომელიც თავის მხრივ M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებითაა დაკომპლექტებული. M2 კატეგორიის ავტოტრანსპორტი ქალაქის მასშტაბით გამოიყენება დიდი სიგრძის მარშრუტებზე, მისი მგზავრთტევადობის მაჩვენებლების მიუხედავად, ხოლო M3 კატეგორიის ავტობუსები წარმოდგენილია სხვადასხვა ტევადობის მაჩვენებლების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტი განსხვავდება მუშაობის თავისებურებებითაც, რამდენადაც M2 კატეგორიის ავტობუსების მუშაობის პროცესი ქალაქის მასშტაბით მომუშავე საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის მუშაობის თავისებურებებთან შედარებით არატრადიციულია და გარკვეულწილად კონტექსტიდან ამოგლეჯილსაც ემსგავსება.

როგორც ცნობილია, საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის პროცესი ემყარება კონკრეტული მარშრუტის განსაზღვრას, მარშრუტზე გარკვეული სიჩქარით გადაადგილებას, აღნიშნულ მარშრუტზე არსებულ მგზავრთმემკრებ ადგილებში (გაჩერებებზე) სავალდებულო გაჩერებას მგზავრების ჩასხმა-ჩამოსხმის მიზნით და ბოლოს კიდურა გაჩერებებზე შედარებით ხანგრძლივ დგომას გარკვეულწილად მგზავრთტევადობის შევსების მიზნით. ქალაქ თბილისის მასშტაბით მომუშავე M3 კატეგორიის სამარშრუტო ავტობუსების მარშრუტზე მუშაობის თავისებურებები სრულ შესაბამისობაშია საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის აღწერილი მუშაობის მოდელთან, რასაც ვერ ვიტყვით თბილისის მასშტაბით მომუშავე M2 კატეგორიის სამარშრუტო ავტობუსების მუშაობის პროცესზე, რაც უმეტეს შემთხვევაში იდენტურია ზემოთ აღწერილი M3 კატეგორიის სამარშრუტო ავტობუსების მარშრუტზე მუშაობის თავისებურებების, მაგრამ ამავე დროს განსხვავდება მგზავრთმემკრებ ადგილებში (გაჩერებებზე) არასავალდებულო გაჩერების უფლებით, კერძოდ M2 კატეგორიის სამარშრუტო ავტობუსები მხოლოდ მაშინ ჩერდებიან გაჩერებებზე, თუ ამის შესახებ მოთხოვნას აყენებს მგზავრი, რომელიც გადაადგილდება აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებით, ან ქვეითი, რომელიც ელოდება კონკრეტულ ავტობუსს გაჩერებაზე. აღნიშნული სხვაობა M2 და M3 კატეგორიის სამარშრუტო ავტობუსების მუშაობის პროცესს შორის საბოლოო ჯამში ახდენს გავლენას სატრანსპორტო მუშაობის შესრულების დროზე, რაც თავის მხრივ აისახება მგზავრის დროით დანახარჯებზე მგზავრობისას და საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ამა თუ იმ კატეგორიის სამარშრუტო ავტოტრანსპორტის მოთხოვნადობის მაჩვენებლებზე.

როგორც ცნობილია საქალაქო საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის მიერ, ორ კონკრეტულ წერტილს შორის სატრანსპორტო პროცესის შესრულებაზე დახარჯული დრო შესაძლოა ვიანგარიშით ფორმულით:

$$t_{\Sigma} = t_{\text{მოდ}} + t_{\text{გაზ}} \cdot n_{\text{გაზ}}$$

სადაც $t_{\text{მოდ}}$ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიერ მოძრაობაზე დახარჯული დრო;

$t_{\text{გაზ}} \cdot n_{\text{გაზ}}$ - საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიერ გაჩერებებზე დახარჯული დრო.

წარმოდგენილი ფორმულა ნათლად გვიჩვენებს, რომ გაჩერებების რაოდენობა მარშრუტზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიერ სატრანსპორტო პროცესის შესრულებაზე დახარჯულ დროზე. M2 და M3 კატეგორიის სამარშრუტო ავტობუსების მარშრუტზე მუშაობის თავისებურებებიდან გამომდინარე შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ $t_{M2} < t_{M3}$.

ქალაქ თბილის მასშტაბით მოძრავი M2 და M3 კატეგორიის სამარშრუტო ავტობუსები, დადგენილი რეგულაციის შესაბამისად გადაადგილდებიან მხოლოდ სამარშრუტო ტრანსპორტის სპეციალურად გამოყოფილ ზოლებში და არ აქვთ აღნიშნული ზოლის დატოვების უფლება გაუთვალისწინებელი და საგანგებო შემთხვევის გარდა (გზის ჩახერგვა, საგზაო შემთხვევა, ტექნიკური გაუმართაობა). წარმოდგენილი რეგულაცია დღე-ღამის უმეტეს პერიოდში, როდესაც გზებზე, ან გზის კონკრეტულ მონაკვეთზე არ შეინიშნება შემჭიდროვებული მოძრაობა უარყოფითად აისახება M2 კატეგორიის სამარშრუტო ავტობუსების მუშაობის დროით მაჩვენებლებზე. როგორც აღვნიშნეთ აღნიშნული ტიპის სამარშრუტო ავტობუსს არ აქვს ე.წ. „სავალდებულო გაჩერების“ აუცილებლობა, რაც მის უპირატესობად ითვლება დროითი დანახარჯების კუთხით, მაგრამ რამდენადაც როგორც M2 ისე M3 კატეგორიის სამარშრუტო ავტობუსები გადაადგილდებიან სპეციალურად გამოყოფილ ზოლებზე და არ აქვთ მისი დატოვების უფლება M3 კატეგორიის სამარშრუტო ავტობუსის აუცილებლად შესასრულებელი გაჩერებისას იძულებულია ყოველგვარი საჭიროების გარეშე გაჩერდეს M2 კატეგორიის სამარშრუტო საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტიც, რაც დროითი, საწვავეკონომიურობის და ეკოლოგიურობის მაჩვენებლების გაუარესების წინაპირობაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია სპეციალურად გამოყოფილ ზოლებში მომუშავე M2 კატეგორიის სამარშრუტო საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტს მიეცეს საჭიროების და შესაძლებლობის შემთხვევაში ზოლის დატოვების უფლება, შემდგომი მყისიერი მოცემულ ზოლში დაბრუნების პირობით, რაც შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან იქნას აცილებული გაუმართლებელი დროითი დანაკარგები, გაზრდილი საექსპლუატაციო დანახარჯები და გაუარესებული ეკოლოგიური მაჩვენებლები.

დასკვნა

ქალაქის მასშტაბით მომუშავე საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, სპეციალური სამარშრუტო ტრანსპორტის ზოლების გამოყოფა უაღრესად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ჩარევაა, რაც თანამედროვე ქალაქებში გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადების ფონზე აუმჯობესებს საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტის მუშაობის დროით, საწვავ-ეკონომიურ და ეკოლოგიურ მაჩვენებლებს,

მაგრამ ამავე დროს გვხვდება ე.წ უარყოფითი ეფექტიც ქალაქ თბილისის მუნიციპალური საავტობუსო პარკის შემადგენლობისა და მასში შემავალი M2 ისე M3 კატეგორიის სამარშრუტო ავტობუსების მუშაობის თავისებურებებიდან გამომდინარე. შესაბამისად უაღრესად მნიშვნელოვანია დამუშავდეს ისეთი რეგულაცია, როგორც სამართლებრივ, ისე ინფრასტრუქტურულ დონეზე, რაც შესაძლებელს გახდის მაქსიმალურად ოპტიმალურად იქნას გამოყენებული სამარშრუტო ტრანსპორტისთვის გამოყოფილი ზოლი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. www.tbilisi.gov.ge;
2. Жиркова А.А., Тутова П.А., Гасов К.А. Обоснование введения выделенных полос для маршрутно пассажирского транспорта, ЕСУ, №1, 2016 г, стр. 52-55.

Optimizing the work of public transport in the city of Tbilisi on the basis of increasing the efficiency of the use of allocated lanes

**Valery Dzhadjanidze, David Pridonashvili, Goderdzi Tabatadze,
Omari Mamalashvili**

Abstract

The efficiency of public transport in modern cities, including Tbilisi, is directly related to the proper functioning of the transport infrastructure. Due to the increased traffic flows on the roads of the city, at the main junctions and highways, heavy traffic is constantly observed during most of the day and night, which, in turn, is characterized by time costs for carrying out transport processes, increased fuel consumption and deterioration of the ecological situation as a result of the corresponding production. One of the methods of solving the problem is the allocation of a special lane for route transport, which will avoid delays in the movement of public transport, and the effective use of the allocated lane, based on the features of Tbilisi city transport, will make the system work even more optimal.

Оптимизация работы общественного транспорта в городе Тбилиси на основе повышения эффективности использования выделенных полос

**Валерий Джаджанидзе, Давид Придонашвили, Годердзи Табатадзе,
Омари Мамалашвили**

Резюме

Эффективность работы общественного транспорта в современных городах, в том числе и в Тбилиси, напрямую связана с надлежащим функционированием транспортной инфраструктуры. В связи с возросшими транспортными потоками на дорогах города на основных развязках и магистралях в течение большей части дня и ночи постоянно наблюдается плотное движение, что в свою очередь характеризуется временными затратами на выполнение транспортных процессов, повышенным расходом топлива и ухудшением экологической обстановки в результате соответствующих выбросов. Одним из методов решения проблемы является выделение специальной полосы для маршрутного транспорта, что позволит избежать задержек в движении общественного транспорта, а эффективное использование выделенной полосы, исходя из особенностей тбилисского городского транспорта, сделает работу системы еще более оптимальной.

უაკ 629.113.004

სატრანსპორტო ნაკადის სიმჭიდროვის შემცირება საქალაქო ავტობუსების ეფექტიანობის გაზრდით ომარი მამალაშვილი*

** დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*

ელ. ფოსტა: mamalashviliomari@gmail.com

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. N71, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე:

სტატიაში წარმოდგენილია ის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომელთა მიზეზითაც შემცირებულია საქალაქო მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების ექსპლუატაციის ეფექტიანობა. ამ ბოლო პარამეტრის შემცირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სატრანსპორტო ნაკადის სიმჭიდროვის ზრდა. დასახელებული უარყოფითი მოვლენის გამოსასწორებლად არსებულ ღონისძიებებს შორის უპირატესობა მინიჭებული აქვს საქალაქო ავტობუსებისათვის სპეციალური ზოლების გამოყოფას. ამ უკანასკელი პროცესის განხორციელება საკმაოდ შრომატევადია და დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ მის რაციონალურად წარმართვისთვის შემოთავაზებულია მოდელირებით სარგებლობა. არსებული პროგრამა „PTV VISSIM“-ის გამოყენებით განხორციელდა სატრანსპორტო პროცესის მოდელირება კოსტავას ქუჩაზე და მის კვეთებზე. შემოთავაზებული მეთოდის კონკრეტული რეალიზაციის შედეგად წარმოდგენილ იქნა რეკომენდაციები, რომლებიც საქალაქო ავტობუსების ეფექტიანობის გაზრდით შეამცირებენ სატრანსპორტო ნაკადის სიმჭიდროვეს.

საკვანძო სიტყვები:

ნაკადის სიმჭიდროვე, საქალაქო ავტობუსი, ეფექტიანობა, სპეციალური ზოლი, მოდელირება.

შესავალი

სატრანსპორტო პრობლემები თანამედროვე დიდ ქალაქებში და რა თქმა უნდა თბილისშიც, სულ უფრო მატულობს. მათი გადაწყვეტა საკმაოდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, თან ძალიან ხშირად ამ პროცესში წარმოიქმნება ახალი წინააღმდეგობები. ამ უკანასკნელთა გამო ძალიან ხშირად ხდება საგზაო-სატრანსპორტო ქსელის გადატვირთვა, წარმოიქმნება საცობები, იზრდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მოხდენის ალბათობა, უარესდება ეკოლოგიური მდგომარეობა. დასახელებულმა მოვლენებმა ყველაზე მეტად დააზიანა მარშრუტზე მომუშავე საქალაქო ავტობუსები, რომელთა მოძრაობის საშუალო სიჩქარეები ძალიან შემცირდა. მიუხედავად მრავალგზისი მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკულად დანერგილი სიახლეებისა, მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა. მაგალითად, დასახელებული სიდიდე პარიზში შეადგენს 7 კმ/სთ-ს, ლონდონში 12 კმ/სთ-

ს, ხოლო აშშ-ს ქალაქებში 14-16 კმ/სთ-ს. აღნიშნულ პუნქტებში პიკის საათებში საქალაქო ავტობუსების მოძრაობის სიჩქარე მცირდება 5-8 კმ/სთ-მდე.

მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული კვლევებით აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად რეკომენდირებულია საქალაქო მარშრუტზე მომუშავე ავტობუსებისათვის უპირატესობის მინიჭება მოძრაობის პროცესში მათთვის სპეციალური ზოლების გამოყოფით. ამიტომ, დასახელებული ღონისძიების განხორციელებისადმი მიძღვნილი ყოველი ნაშრომი აქტუალური და აუცილებელია.

ძირითადი ნაწილი

ზემოთ დასახელებული სატრანსპორტო პრობლემის გადასაწყვეტად საერთო დონე კვლევებისა და მათი პრაქტიკული გამოყენება არაა საკმარისი შემდეგი ფაქტორების გამო:

- სატრანსპორტო ნაკადებს ახასიათებთ მრავალფეროვნება და არასტაბილურობა, ამიტომ მათ შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღება რთული და შრომატევადია.
- საგზაო მოძრაობის მართვის ხარისხის შემფასებელი კრიტერიუმები ურთიერთსაწინააღმდეგოა. მაგალითად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოძრაობის უწყვეტობა და ამავდროულად შემცირდეს ამ პროცესისას დანაკარგები. ასევე გასათვალისწინებელია, რომ შეზღუდვები აქვს როგორც მოძრაობის სიჩქარეს, ასევე მიმართულებას.
- საგზაო პირობებს, მიუხედავად სტაბილურობისა, ახასიათებს მოულოდნელი დაუგეგმავი გადახრები, რომლებიც გამოწვეულია როგორც კლიმატური, ასევე საგზაო პირობებით.
- საგზაო მოძრაობის ოპტიმალურად მართვისათვის კვლევების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები რეალიზაციისას ზუსტად ვერ სრულდება, რაც იწვევს გაუთვალისწინებელ უარყოფილ ეფექტებს.

სატრანსპორტო ნაკადის დინამიკურ მახასიათებლებზე მოქმედი ფაქტორებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სპეციალურად გამოყოფილ ზოლებში საქალაქო ავტობუსების ეფექტიანობა. ამ პარამეტრის გაზრდით დასახელებული საავტომობილო სატრანსპორტო საშუალება უკეთესად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას - მგზავრთა გადაადგილება დროულად, უსაფრთხოდ და კომფორტულად. ამის შედეგად იზრდება რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებიც კერძო ავტომობილების ნაცვლად, გადაადგილდებიან საქალაქო მარშრუტზე მომუშავე ავტობუსებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მცირდება სატრანსპორტო ნაკადის სიმჭიდროვე და იზრდება მოძრაობის საშუალო სიჩქარე.

გამოყოფილ ზოლებში ექსპლუატაციისას საქალაქო ავტობუსების ეფექტიანობის გასაზრდელად, მრავალრიცხოვან მეცნიერ-მუშაკთა აზრით, დიდ ქალაქებში სატრანსპორტო ნაკადების მართვისთვის ეფექტური სტრატეგიის შესამუშავებლად, საგზაო-სატრანსპორტო ქსელის პროექტირების ოპტიმალურად წარმართვისა და ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის მაღალ დონეზე განხორციელებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:

- სატრანსპორტო ნაკადების მახასიათებელი პარამეტრების ფართო სპექტრი;
- სატრანსპორტო ნაკადების დინამიკურ მახასიათებლებზე მოქმედი გარეგანი და შინაგანი ფაქტორების მოქმედების კანონზომიერებანი.

დასახელებული ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა მოდელირების გამოყენება, რომლის საშუალებითაც განხორციელდება შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- ქალაქის ტერიტორიაზე ახალი ელემენტების (მეტროს ხაზი, რადიალური და წრიული ავტომაგისტრალები და სხვა) გამოჩენის გათვალისწინებით სატრანსპორტო სისტემის ცვლილება;
- ქალაქის შემადგენლობაში ახალი საცხოვრებელი რაიონის ან დიდი სამრეწველო-საწარმოო ობიექტის გახსნის შემთხვევაში კორექტირების შეტანა სატრანსპორტო სქემაში;
- გარკვეული მიზეზების გამო, რომელიმე სახის მოძრაობა შემადგენლობის დროებით შეჩერების ან ლიკვიდაციის შედეგად მგზავრთა გადაადგილებაში წარმოქმნილი შეფერხებების აღმოსაფხვრელად სატრანსპორტო ნაკადების გადანაწილება;

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სატრანსპორტო ნაკადების სიმჭიდროვის შესამცირებლად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქალაქო ავტობუსებისათვის სპეციალური ზოლების გამოყოფა, ხოლო აღნიშნული ღონისძიების ოპტიმალურად წარმართვისთვის საჭიროა მოდელირების გამოყენება. ამიტომ, ჩვენს მიერ ცნობილი პროგრამა „PTV VISSIM“-ის გამოყენებით განხორციელდა სატრანსპორტო პროცესის მოდელირება კონკრეტული შემთხვევებისთვის. კერძოდ, შერჩეულ იქნა ქ. თბილისში კოსტავას ქუჩა და მასზე არსებული გზაჯვარედინები. ამის შემდეგ, განხორციელდა შედგენილი მოდელის შემოწმება ვალიდურობაზე. ამ პროცესის მიზანია არსებული სიტუაციის მიკრო სიმულაციური სატრანსპორტო მოდელის მაქსიმალურად მიახლოება რეალობასთან საკვლევი არეალიდან აღებული მონაცემების მიხედვით. კალიბრაციის პერიოდში, მოდელირების შედეგები შედარდა არსებულ მონაცემებთან იმის დასადგენად, იყო თუ არა სატრანსპორტო სიმულაცია დასაშვებ დიაპაზონში. ვალიდაციის კრიტერიუმები დაფუძნებულია წარსულში ჩატარებულ ანალოგიურ კვლევებთან. კალიბრაციის მიზნები მდგომარეობს შემდეგში:

მიზანი 1: პიკის საათში რიგის სიგრძეთა იდენტიფიკაცია

მიზანი 2: მოდელირებულ სატრანსპორტო ქსელში განლაგებულ თვლის წერტილებზე (Data Collection Points) აღებული სატრანსპორტო ნაკადები, დათვლილი ნაკადების მიხედვით აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

- 75%-ზე მეტ შემთხვევაში სატრანსპორტო ნაკადების ცდომილება იყოს:
 - 700 სატრანსპორტო საშუალებაზე ნაკლების შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების დიაპაზონში;
 - 700-დან 2700 სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში 15% დიაპაზონში;
 - 2700-ზე მეტი სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში 400 სატრანსპორტო საშუალების დიაპაზონში.
- 75 პროცენტზე მეტის შემთხვევაში GEH-ის მნიშვნელობა იყოს 5-ზე ნაკლები.

GEH არის სტანდარტული სტატისტიკური მიდგომა არსებული და მოდელირებული ნაკადების შედარებისათვის (სატრანსპორტო მიკროსიმულაციური მოდელის დაკალიბრების სახელმძღვანელო, 2004). GEH-ის გამოყენებით შესაძლებელია დავადგინოთ მოდელირების ვალიდურობა. ის გამოითვლება შემდეგნაირად:

$$GEH = \sqrt{\frac{2(M - C)^2}{M + C}}$$

M = მოდელირებული სატრანსპორტო ნაკადი

C = დათვლილი სატრანსპორტო ნაკადი

- თუ GEH ნაკლებია 5-ზე, ნიშნავს, რომ პირობა დაკმაყოფილებულია;
- თუ GEH არის 5-სა და 10-ს შორის, შესაძლოა დასჭირდეს მეტი დაკვირვება;
- თუ GEH მეტია 10-ზე, ის არ აკმაყოფილებს GEH-ის მოთხოვნებს და საჭიროებს გამოსწორებას.

ჩატარებული ანგარიშებისა და პრაქტიკული დაკვირვებების შედარებამ აჩვენა წარმოდგენილი მოდელის ადეკვატურობა.

შემოწმებული მოდელის საშუალებით მოხდა შერჩეული კვანძების (კოსტავას ქუჩა და მისი გზაჯვარედინები) ანალიზი და დადგინდა შეფერხებების მიზეზები. ამის შემდეგ, საკვლევ ორ კვანძზე შემოთავაზებულ იქნა მოძრაობის ორგანიზაციის ახალი სქემა, რომლის მიხედვითაც კოსტავასა და ტყვარჩელის ქუჩების კვეთაზე, გზაჯვარედინამდე 50 მეტრით ადრე, საჭიროა მარჯვნივმომხვევი ზოლის მოწყობა. რაც შეეხება მეორე კვანძს (კოსტავასა და მიროტაძის ქუჩების კვეთა), გზაჯვარედინამდე ტროტუარის სიგანის შემცირების ხარჯზე, როგორც მარჯვნივ, ასევე მარცხნივ, უნდა მოეწყოს შემხვევი ზოლები. შედგენილი მოდელის საშუალებით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ ღონისძიებით 23-29%-ით იზრდება სატრანსპორტო ნაკადის და რა თქმა უნდა, საქალაქო ავტობუსების მოძრაობის საშუალო სიჩქარე და შესაბამისად მცირდება სიმჭიდროვე ნაკადისა.

დასკვნა

მოდელირების საშუალებით ჩატარებული ანალიზის შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელება ავტომობილების მოძრაობის სქემის ოპტიმიზირებისათვის, მნიშვნელოვნად გაზრდის საქალაქო მარშრუტზე მოძრავი ავტობუსების ეფექტიანობას და შეამცირებს სატრანსპორტო ნაკადების სიმჭიდროვეს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. <https://znanierussia.ru/articles/моделирование>
2. Семенов В.В. Математическое моделирование динамики транспортных потоков мегаполиса М., 2004. - 44 с.: ил. - (Препринт № 34, Москва, 2004 / Институт прикладной математики им. М.В. Келдыша).
3. დავით საცერაძე, სატრანსპორტო ნაკადების მოდელირების მიზნების, ამოცანების, მოდელირების მეთოდებისა და ტექნოლოგიების სისტემური ანალიზი. საქართველოს ტექნიკური, თბილისი, GESJ: Computer Science and Telecommunications 2016|No.2(48) ISSN 1512-1232

Reducing Traffic Flow Density by Increasing the Efficiency of Public Transport

Omari Mamalashvili

Abstract

The article presents the objective and subjective factors that reduce the operational efficiency of city buses. A significant factor in this reduction is the increase in traffic flow density. Among the measures taken to address this issue, the allocation of dedicated lanes for city buses is prioritized. However, this process is labor-intensive and costly. Therefore, modeling is proposed for its rational implementation. Using the “PTV VISSIM” software, the transportation process was modeled on Kostava Street and its intersections. Based on the specific implementation of the proposed method, recommendations were presented that aim to reduce traffic flow density by increasing the efficiency of urban buses.

Снижение Плотности Транспортного Потока за Счёт Повышения Эффективности Общественного Транспорта

Омари Мамалашвили

Резюме

В статье рассматриваются объективные и субъективные факторы, снижающие эксплуатационную эффективность городских автобусов. Существенным фактором этого снижения является увеличение плотности транспортного потока. Среди принимаемых мер основное внимание уделяется выделению отдельных полос для движения городских автобусов. Однако данный процесс является трудоёмким и дорогостоящим. Поэтому предлагается использовать моделирование для его рационального внедрения. С помощью программного обеспечения "PTV VISSIM" была смоделирована транспортная ситуация на улице Костава и на её пересечениях. На основе конкретной реализации предложенного метода представлены рекомендации, направленные на снижение плотности транспортного потока путём повышения эффективности городских автобусов.

Кинематика и динамика лестничного транспортера

Зураб Мchedlishvili*

** Грузинский технический университет, факультет транспортных систем и механики инженерии, департамент инженерной графики и технической механики, асоциированный профессор, ел. Почта: zurab.mch@mail.ru*

(Грузинский технический университет, ул. М. Костава №71, Тбилиси, 0175, Грузия)

Резюме:

Данная статья посвящена определению основных физических параметров ходовой части изобретенного многоцелевого лестничного транспортера, в частности, упомянутый транспортер предназначен для перевозки инвалида. Для повышения устойчивости платформы при передвижении предложен новый рычажный механизм, обеспечивающий плавный переход машины из наклонных в плоские части лестницы. В порядке определения конструктивных параметров в статье рассмотрен кинематический и динамический анализ предлагаемой механической системы.

Ключевые слова:

Лестничные транспортер, рычажный механизм, кинематика, динамика, ускорение, момент инерции.

Введение

Для того, чтобы дать человеку возможности преодоления различных препятствий, в том числе лестницы в Грузинском техническом университете был изобретен лестничный транспортер с оригинальной схемой каркаса. Упомянутая машина изображена на фиг. 1.



Рис. 1. Опытный образец лестничного подъемника.

